

ეთნომუსიკოლოგიის მრავალი სახე

არსებობის 135 წლის განმავლობაში ეთნომუსიკოლოგია მუდმივად განიცდიდა და დღესაც განიცდის ცვლილებას. ამ ცვლილებების მიზეზი მრავალი იყო. დღეს ჩემს მოხენებაში განვიხილავ მხოლოდ ორ მათგანს: პოლიტიკურ-ეთიკური შეხედულებების ცვლილებებს და ტექნოლოგიური ბაზის გაფართოების ზემოქმედებას ეთნომუსიკოლოგიის განვითარებაზე.

1. პოლიტიკურ-ეთიკური შეხედულებები

თავდაპირველად ეთნომუსიკოლოგიის ამოცანას წამოადგენდა არაეფროპული ხალხების მუსიკალური კულტურების შესწავლა და სისტემატიზაცია. სწორედ ამ თეორიულმა ამოცანებმა შექმნა შედარებითი მეთოდის ფართო გამოყენების აუცილებლობა. თითოეული კულტურის სიდრმისეული შესწავლა არ ითვლებოდა აუცილებლად კლასიფიკაციისათვის, ასე რომ, მეცნიერები თავს არ ინუხებდნენ არც შესადარებელი კულტურების ენის შესწავლით და არც რაიმე ექსპედიციის მოწყობით. ამ პერიოდის შრომები გამოირჩეოდა, ერთი მხრივ, საოცრად ფართო გაქანებით, უზარმაზარი თეორიული საკითხების დაყენებით, მაგრამ, ამავე დროს, ნაშრომების მეთოდოლოგიური საფუძველი ძალზე არამყარი იყო და შედარებული კულტურების ძალიან მწირი ცოდნით გამოირჩეობა. მაგალითად, არც ზიგფრიდ ნადელი (1933), და არც მარიუს შნაიდერი (1940, 1961, 1969), რომლებიც წერდნენ ქართულ მუსიკაზე, არასოდეს ყოფილან საქართველოში და, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტი იყო მათი მხრიდან ისეთი შრომატევადი საქმეების კეთების შესახებ, როგორცაა ქართული ენის შესწავლა, ან ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურის საფუძვლიანი გაცნობა.

ეთნომუსიკოლოგიის განვითარების ამ პირველ პერიოდში ყველაზე მძლავრი სამეცნიერო სკოლა შეიქმნა გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში. გერმანელებმა საოცარი გულმოდგინებით გამოიყენეს პირველი მსოფლიო ომის მიერ მოცემული შესაძლებლობა, როდესაც სულ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები მოხვდნენ მათთან, როგორც სამხედრო ტყვეები. გერმანელებისა და ავსტრიელების მიერ ვენისა და ბერლინის ფონოგრაფიის მიერ ჩაწერილ სიმღერებს დღესაც უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვთ. ბევრი კულტურისათვის ეს ჩანაწერები დღესაც გვევლინებიან პირველ ხმოვან ჩანაწერებად ამ კულტურებიდან.

სამწუხაროდ, ზუსტად ეს პერიოდი დაემთხვა გერმანიაში რასისტული თეორიების გაჩენას და ფართოდ გავრცელებას. ამ თეორიების გამო მე20- საუკუნის 20-30-იან წლებში ითვლებოდა, რომ ადამიანთა სხვადასხვა რასებს სხვადასხვა ინტელექტი და ათვისების უნარი ჰქონდათ. გარდა ამისა, ითვლებოდა, რომ ენა გასაზღვრავდა რასას და ენასა და მუსიკალურ კულტურას შორის უნდა ყოფილიყო აშკარა კავშირი. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო, რომ, მაგალითად, ბალყარული მუსიკის ჩამწერები (თვით ბალყარელები) ჯიუტად ცდილობდნენ, საკუთარი მრავალხმიანი სიმღერები ჩაეწერათ მონოდიურად, ერთ ხმაში, რათა მათი მუსიკა და ენა (თურქული ენა) ერთმანეთისთვის დაეახლოვებინათ (ასეა, მაგალითად, შეიბლერის რამდენიმე კრებულში. იხ. რახაევი, 1988).

შესაბამისად, მართალია, ბერლინის სკოლამ დიდი როლი ითამაშა შედარებითი

მუსიკოლოგიის განვითარებაში და ფართოდ მოაზროვნე მეცნიერების მთელი პლეადა გამოიყვანა ასპარეზზე (ერის მორის ფონ ჰორნბოსტელი, ალექსანდრე ელისი, კარლ შტუმპი, კურტ ზაქსი, მარიუს შნაიდერი და მრავალი სხვა), მათი თეორიული კონსტრუქციები „თიხის ფეხებზე“ იდგა და დაინგრა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე. სხვათა შორის, მეორე მსოფლიო ომი, თავისი რასისტული შეხედულებებით და გენოციდის არნახული სისასტიკით, გახდა კიდევ ძირითადი პოლიტიკური მიზეზი შედარებითი მუსიკისმოცდობის დანგრევისათვის. არა მარტო შედარებითი მუსიკისმოცდნობა აღმოჩნდა „კანონგარეშე“, არამედ თვით „რასის“ კონცეფციაც და ტერმინიც მოძულეულ იქნა (ტერმინი „რასა“ შეიცვალა უფრო ნეიტრალური ტერმინით „პოპულაცია“).

სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყებს ეთნომუსიკოლოგია განვითარებას ამ ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობით. შესწავლის ცენტრმა დანგრეული ბერლინიდან გადაინაცვლა აყვავებულ ლოს-ანჯელესში.

ახალ მიდგომაში სრულებით შეიცვალა მოთხოვნები მკვლევრის მიმართ: თუ ტიპური ბერლინის სკოლის წარმომადგენელი იყო სავარძლის მეცნიერი, რომელსაც არ მოეთხოვებოდა ექსპედიციების ორგანიზება, ახლა უკვე ეთნომუსიკოლოგს მოეთხოვებოდა არა მარტო ექსპედიციების ჩატარება, არამედ გარკვეული ხნის განმავლობაში (თვეობით, ან უმჯობესია, წლებით), ცხოვრება შესასწავლ კულტურაში, ენის ათვისება, და შეძლებისდაგვარად კულტურის, ეთნოგრაფიის და ადგილობრივ ენაზე გამოცემული ლიტერატურის გაცნობაც (მერიამი, 1964). თვით ექსპედიციასაც უკვე სხვა დანიშნულება ჰქონდა – არა იმდენად მასალის შეგროვება, არამედ მუსიკის როლის გარკვევა საზოგადოებაში.

ამ მიდგომის დანერგვის შემდეგ სრულიან შეიცვალა ეთნომუსიკოლოგიის სახე. ჯერ ერთი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესასწავლ ქვეყანაში ცხოვრებამ და, მითუმეტეს, ენის შეწავლის მოთხოვნამ, დიდად შეზღუდა მეცნიერების თვალთახედვის არე და შესაძლო კვლევის მამულები. მეცნიერები ახერხებდნენ, როგორც წესი, ერთი კულტურის გაცნობას, და ერთი ახალი ენის მეტნაკლებად შესწავლას. ფართო შედარებით შესწავლაზე ლაპარაკი, ფაქტიობრივად, შეწყდა ეთნომუსიკოლოგიაში.

ამან ტრაგიკული შედეგებიც მოიტანა – ეთნომუსიკოლოგიაში, ფაქტობრივად, შეწყდა ფართო მამულების თეორიული კვლევების ჩატარება. ამაზე არაერთხელ გამოთქვამდნენ წუხილს მონინავე ეთნომუსიკოლოგები (ბრუნო ნეტლი, 2005; ტიმ რაისი, 2010). მახსოვს, როცა ტიმ რაისმა გაიგო, რომ მე და სტივენ ბრაუნი ვაპირებდით შედარებითი ეთნომუსიკოლოგიით დაინტერესებულ კოლეგებთან შეხვედრას რიო დე ჟანეიროს კონფერენციის დროს, 2001 წელს, მითხრა, რომ ეთნომუსიკოლოგიაში შედარებითი მეთოდი როცა უარყვეს, ფაქტიურად „ნარეცხ წყალს ბავშვიც გადააყოფესო“ (ზეპირი კომუნიკაცია, 2001 წელი, 7 ივლისი, რიო დე ჟანეირო).

პოლიტიკურ-ეთიკური ხასიათის ცვლილებები გამოიწვია აგრეთვე თვით ეთნომუსიკოლოგების ეთნიკური პროფილის გამრავალფეროვნებამაც. 1960-იან წლებამდე, შეიძლება ითქვას, მთელი ეთნომუსიკოლოგიური სფერო ორ დიდ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველ ნაწილს შეადგენდნენ ქვეყნები და კულტურები, რომლებშიც კარგად იყოს შემონახული საკვლევო მასალა. ესენი იყო აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, აზიის მრავალი კულტურის და ავსტრალიის აბორიგენული მოსახლეობის კულტურები; ეთნომუსიკოლოგიის მეორე დიდ სფეროს კი შეადგენდა ის კულტურები, საიდანაც მოდიოდნენ პროფესიონალი ეთნომუსიკოლოგები. ესენი იყვნენ განვითარებული ეკონომიკის მქონე, ძირითადად, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები.

ითვლებოდა, რომ ამ განვითარებულ კულტურებში ხალხური შემოქმედება უკვე წარსულს იყო ჩაბარებული. შესაბამისად, ამ პერიოდში ძალიან მიღებული იყო, რომ ევროპელი ან ამერიკელ ეთნომუსიკოლოგი დაქორწინებულიყო ეგზოტიკური კულტურის წარმომადგენელზე, სანგრძლივი ექსპედიციები მოეწყო მეუღლის ქვეყანაში, ესწავლა მათი ენა და ღრმად გაცნობოდა მათ კულტურას.

მიღებული პრაქტიკა, ნაწილობრივ მაინც, შეიცავდა კოლონიალურ სულისკვეთებას, როდესაც მოწინავე ტექნოლოგიური ერების წარმომადგენლები ეხმარებიდნენ და სწავლობდნენ იმ ქვეყნებს, სადაც მასალა კი ბევრი იყო, მაგრამ პროფესიულად კარგად მომზადებული საკუთარი კადრები არ ჰყავდათ ამ მასალის შესასწავლად და კლასიფიკაციისათვის.

ამ პრობლემას თანდათან მოენახა ლოგიკური გადაწყვეტა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ფოლკლორული მასალებით მდიდარ ქვეყნებში დაიწყო საკუთარი კულტურების აქტიური შესწავლა, ანუ დაიწყო კულტურების მეცნიერული შესწავლა საკუთარი ძალებით, საკუთარი სპეციალისტების მიერ. როგორც მოსალოდნელი იყო, გაჩნდა თავისებური ქიშპობაც კულტურის ადგილობრივსა და ევრო-ამერიკელ შემსწავლელებს შორის.

იყო გამონაკლისებიც. მაგალითად, მართალია ამ პერიოდში თითქმის სრულიად მოიშპო შედარებითი კვლევები, სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა ეთნომუსიკოლოგიის ისტორიაში ყველაზე მამუტაბური შედარებითი კვლევის პროექტი, ე.წ. „კანტომეტრიკა“ (ლომაქსი, 1968). სხვათა შორის, ეს პროექტი დაფინანსდა და ჩატარდა მუსიკალური აკადემიის გარეთ. თვით პროექტის ხელმძღვანელი, ლევენდარული ალან ლომაქსი, არ იყო პროფესიონალი ეთნომუსიკოლოგი და მას არ შეეძლო მუსიკალური დამწერლობის წაკითხვა, ან ჩაწერა. შესაბამისად, მთელი პროექტიც სანოტო ჩანაწერების გარეშე განხორციელდა. აკადემიაში საკმაოდ უარყოფითი იყო ალან ლომაქსის შეფასებაც.

არაევროპული კულტურების შესწავლაზე კონცენტრირების გამო ბევრი იყო კურიოზებიც. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა უამრავი ექსპედიციის ჩატარებასა და ათასობით ჩანაწერის გაკეთებაში ეგზოტიკურ კულტურებში, მაშინ, როცა ევროპის უამრავი, უაღრესად საინტერესო რეგიონი შეუსწავლელი რჩებოდა. მაგალითად, პოლინეზიური და აფრიკული მრავალხმიანობა ევროპელ ეთნომუსიკოლოგთა შორის ცნობილი იყო მე-XIX და, უფრო მეტიც, მე-XVIII საუკუნიდან (ეთნომუსიკოლოგიის დისციპლინის გაჩენამდე), მაგრამ ალბანეთისა და საბერძნეთის უაღრესად საინტერესო მრავალხმიანობა მათთვის ცნობილი გახდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (ლოიდი, 1961).

იყო ბედნიერი გამონაკლისებიც. მათ შორისაა, მაგალითად, ბულგარული, ქართული, ლიტვური და რუსული მრავალხმიანობა, რომლებიც ცნობილი გახდნენ ეთნომუსიკოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპებზეც. ბუნებრივი იყო, რომ ეს კულტურები დიდი ხნის განმავლობაში შეისწავლებოდა ადგილობრივი სპეციალისტების მიერ. დღეს ეს ტენდენცია უკვე წამყვანია ეთნომუსიკოლოგიაში.

2. ეთნომუსიკოლოგია და ტექნოლოგიური პროგრესი

ახლა მიმოვიხილოთ ტექნოლოგიური პროგრესის როლი ეთნომუსიკოლოგიაში. ეთნომუსიკოლოგიის განვითარება თავიდანვე უშუალოდ იყო დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროგრესთან. ჯერ, თავისთავად, ფონოგრაფის გამოგონებამ მისცა ძლიერი ბიძგი თვითჩვენი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას. პირველი ეტაპის სავარძლის ეთნომუსიკოლოგებისთვის, რომლებიც თავის სამუშაო კაბინეტში ქმნიდნენ მსოფლიოს მომცველ შედარებით ჰოპოთეზებს, უბრალოდ აუცილებელი

იყო დიდ რაოდენობის ფონოგრაფული ჩანაწერების აქტიური გამოყენება (ხშირად კულტურული კონტექსტის გარეშე).

სხვათა შორის, ფონოგრაფის გამოჩენამ მოიტანა აგრეთვე მეტად სპეციფიკური „ოქროს ხანის მითიც“ (ჟორდანი, 2010). ეს მითი მდგომარეობს იმაში, რომ ფონოგრაფზე ჩანერილი პირველი ხალხური მომღერლები (და პროფესიული მომღერლებიც) მრავალ კულტურაში ლეგენდარულ ფიგურებად იქცნენ. სწორედ ფონოგრაფმა გახადა შესაძლო ის სასწაული, რომ შეიძლებოდა შემსრულებლის მოსმენა სულ სხვა ქვეყანაში და სხვა ეპოქაში. ეს იყო საშემსრულებლო უკვდავების მიღწევა, რაზეც ოცნებაც კი არ შეეძლოთ ადრეული ეპოქის შემსრულებლებს. სწორედ ამიტომაც, რომ ქართულ ფოლკლორულ მუსიკაში გათვითცნობიერებულ ადამიანს თუ ჰკითხავ, როდის იყო ქართული ხალხური შემსრულებლობის „ოქროს ხანა“, როდესაც ყველაზე მეტი უნიჭიერესი შემსრულებელი იყო აქტიური, დიდი შანსია, რომ პასუხად მე-19 საუკუნის ბოლოდან მეოცე საუკუნის პირველ სამ ათწლეულამდე პერიოდი დაგისახელონ (ანუ ფონოგრაფით ჩანერილი პირველი შემსრულებლების წლები).

საინტერესოა, რომ ზუსტად ასევე პასუხობენ მსგავს შეკითხვას ბევრ სხვა ქვეყანაშიც. ეს კი მიგვითითებს, რომ პირველი გრამფირფიტების გამოჩენამ უდიდესი ფსიქოლოგიური გარდატეხა შეიტანა მუსიკალურ კულტურაში, და აიყვანა პირველი ჩანაწერების გმირები ლეგენდარული სტატუსის დონეზე.

ზემოთ ნახსენები „ოქროს ხანის მითი“ ეხება არა მარტო ხალხურ შემრულებლობას. გავიხსენოთ, როგორი ავტორიტეტი ჰქონდათ (და აქვთ დღესაც), მაგალითად, პროფესიულ მომღერლებს – კარუზოს, შალიაპინს ან სარაჯიშვილს.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა მოიტანა უფრო და უფრო მცირე ზომის ჩამწერების შექმნა, რამაც პრინციპულად შეცვალა ჩანერის პროცესი. განსაკუთრებით პრაქტიკული აღმოჩნდა კასეტის მანგნოფონების დიდი რაოდენობით გამოჩენა 80-იან წლებში. თუმცა, ეს ახალი ტექნოლოგია მაინც არ აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი კულტურის ისტორიაში, რომ გატოლებოდა ფონოგრაფის მიერ მოტანილ კულტურულ ეფექტს.

ახალი ეტაპი დადგა მას შემდეგ, რაც დაინერგა დიგიტალური აპარატურა, როგორც აუდიო, ისე ვიდეო. გარდა იმისა, რომ გაადვილდა ხმის და გამოსახულების ერთდროული ჩანერა (რაც ადრე მხოლოდ ოცნების საგანი იყო ეთნომუსიკოლოგებისათვის), პრინციპულად ახალი იყო youtube არხზე მასალების განთავსებისა და ერთმანეთთან გაზიარების სიადვილე და სიიარვე.

დღეს მკვლევარს მხოლოდ კომპიუტერი და ინტერნეტი სჭირდება, რომ ნებისმიერი ინფორმაცია მოიძიოს, ან თავისი ახალი აღმოჩენა გაუზიაროს კოლეგებს. ინტერნეტმა სრულებით შეცვალა მეცნიერის ყოველდღიური ცხოვრება. როცა მე მჭირდება საკუთარ წიგნში რაიმეს ციტირება, იმის მაგივრად, რომ მივიდე თაროსთან და ავიღო ჩემი წიგნი, მე ხშირად შევდივარ ინტერნეტში, ვნახულობ იქ ჩემს შრომებს, გავხსნი ჩემი წიგნის ფაილს და ახლა უკვე ფაილში, ისევე დიგიტალურად, ვეძებ სჭირო გვერდს. საოცარია, მაგრამ დღეს ერთ კომპიუტერში უფრო მეტი ინფორმაციის მოძებნა შეიძლება, ვიდრე მთელს თბილისის ან მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკებში, და უფასო „ვიკიპედიაში“ 20-ჯერ უფრო მეტი და უფრო ახალი ინფორმაციის ნახვა შეიძლება, ვიდრე ლეგენდარულ „ენციკლოპედია ბრიტანიკაში“.

ახალი, გაზრდილი ტექნოლოგიური საშუალებები ეთნომუსიკოლოგიას ახალ პერსპექტივებს უსახავს. youtube არხზე მასალების მონახვა უფრო და უფრო ადვილდება და ეჭვს გარეშე, რომ კიდევ უფრო გაადვილდება.

კარგად მახსოვს, როცა ჩემს სადოქტოროზე მუშაობის დროს დამჭირდა უცხოური ლიტერატურის მოძიება, სპეციალურად გამომიწერეს რამდენიმე ნაშრომი მოსკოვის

ბიბლიოთეკიდან (ზოგი ნაშრომი იქაც არ იყო). ეს იყო -80იანი წლების ბოლოს. დღეს ასეთი პრობლემის წარმოდგენა ძალიან ძნელია, მითუმეტეს, რა თქმა უნდა, ძნელია, წარმოვიდგინოთ მოსკოვიდან რაიმე ნაშრომის გამოწერის საჭიროება... ერთადერთი, რაც სჭირდება დღევანდელ ეთნომუსიკოლოგს, ესაა ინგლისური ენის ცოდნა, კომპიუტერთან ურთიერთობის გარკვეული ცოდნა და თავისი საკვლევი საგნის სიყვარული. ეს ბოლო პუნქტია ხშირად ყველაზე ძნელად საშოვნის „ინგრედიენტი“, რადგან დღევანდელ მატერიალისტურ სამყაროში ახალგაზრდები ხშირად უყურებენ მომავალ სპეციალობას მისი უტილიტარული ფუნქციის მიხედვით.

მახსენდება მეღბურნის კონსერვატორიის რექტორი, პროფესორი გარი მაკფერსონი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ჩინელ ვუნდერკინდთან, რომელიც საოცარ ნიჭს იჩენდა ფორტეპიანოზე შემსრულებლობაში. როცა სკოლის დამთავრების დრო მოახლოვდა და ახალგაზრდა მუსიკოსს ჰკითხეს, რას აპირებდა, მან ბევრი გააოცა თავისი პასუხით. მე თვითონ წავიკითხე ინტერვიუ მასთან და კარგად მახსოვს ჩემი გაკვირვება, რომ ამ შესანიშნავ შემსრულებელს უნდოდა კბილის ექიმი გამხდარიყო...

თუ ზოგადად შევაფასებთ ეთნომუსიკოლოგიის ახალ პერსპექტივებს, უნდა ვთქვათ, რომ, თუკი ოდესმე შეიძლება ვიფიქროთ შედარებითი მუსიკოლოგიის დაბრუნებაზე, ეს შეიძლება უკვე დღეს მოხდეს. ამის შედეგი იყო, რომ 2012 წელს კანადაში ჩატარდა შედარებითი მუსიკოლოგიის დაბრუნების მცდელობა. ჩვენთვის კარგად ცნობილი სტივენ ბრაუნი, მაიკლ ტენზერი, ალან ლომაქსის თანამოაზრე ვიქტორ გრაური და სხვები იყვნენ ჩართულები ამ კონფერენციაში. მე, სამწუხაროდ, ვერ შევძელი წასვლა ინდოეთთან დაკავშირებული გეგმების გამო. ჯერჯერობით, ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. რა არის ამის მიზეზი?

დასკვნა: ჩვენ გვჭირდება მეცნიერების გათავისუფლება!

ეთნომუსიკოლოგია, სამწუხაროდ, ისევ ვერ გამოსულა მეორე მსოფლიო ომის აჩრდილიდან. ჩვენი ტექნოლოგიური შესაძლებლობანი საოცრად გაიზარდა, მაგრამ ჩვენ ისევ ვებოჭილები ვართ „პოლიტიკური კორექტულობის“ ბორკილებში. ჯერ კიდევ ძნელია ტემინ „რასის“ გამოყენება და ჯერ კიდევ თავზარი ეცემათ კოლეგებს, როცა ლაპარაკი იწყება მრავალხმიანობისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემების დამთხვევაზე.

საჭიროა გავიზაროთ, რომ ახალი კვლევითი ტექნოლოგია და გაადვილებული კომუნიკაცია ვერ შეძლებს შედარებითი მუსიკოლოგიის ავტომატურად მობრუნებას. საჭიროა მოვიცილოთ იდეოლოგიური ბორკილები, რომლებიც ხელს უშლის ჩვენი დარგის პროგრესს. საუბარი მაქვს არამარტო ეთნომუსიკოლოგიის პროგრესზე. დღევანდელი მეცნიერული საზოგადოება გაყოფილია, ერთი ნაწილი თავგანწირულად ცდილობს არ დაარღვიოს „პოლიტიკური კორექტულობის“ პრინციპები, გინდაც ეს სიმართლისა და მეცნიერული პროგრესის ხარჯზე მოხდეს. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მათი ბრძოლა კედელზე თავის რტყმას წააგავს.

მე ეს კარგად მაქვს გამოცდილი ჯერ კიდევ 1991 წელს, გერმანიაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც კოლეგებს ნადვილი თავზარი დაეცათ, როცა ჩემი არგუმენტები მოისმინეს მრავალხამიანობის და ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემების თანხვედრაზე. ამის შესახებ მე ბრუნო ნეტლთან მქონდა წლების შემდეგ საუბარი და, უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ სასიამოვნო ძვრები შეინიშნება.

შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ეთნომუსიკოლოგია წინ მიიწევს, ზოგიერთი სხვა დარგისგან განსხვავებით. მაგალითად, ენაბლუობის დარგის სპეციალისტებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რატომაა აფრიკაში გაცილებით მეტი ენაბლუობა,

ვიდრე, მაგალითად, ევროპაში, ან აღმოსავლეთ აზიაში. მიუხედავად იმისა, რომ მე პროფესორ შერი რიისთან ერთად გავაკეთე მოხსენება ამის შესახებ, ოც წელზე მეტია ჩვენს მოხსენებას ჭიუტად არ აქცევენ ყურადღებას (რიისი & ჟორდანი, 2001).

უნდა გვახსოვდეს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს მეცნიერების პროგრესს. საჭიროა მეცნიერებაში მეფობდეს პოლიტიკური იდეებისგან, პოლიტიკური შეზღუდვებისაგან თავისუფალი ატმოსფერო. სამწუხაროდ, კაცობრიობის ტექნოლოგია გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ეთიკურ-პოლიტიკური შეხედულებები. მეცნიერების თავისუფალი განვითარებისათვის კი აუცილებელია თავისუფლება ნებისმიერი პოლიტიკური დიქტატისგან.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსიკის სფეროში, რადგან თანდათანობით მატულობს დადასტურება იმისა, რომ მუსიკას ჩვენი ტვინის გაცილებით უფრო ღრმა ფენები განაგებენ, ვიდრე ენა. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეხსიერების ზოგადი დაქვეითების შემთხვევაში, მუსიკალური მეხსიერება ყველაზე დიდხანს ინახება. დღეს ისიც კარგად ვიცით, რომ მუსიკალური ინფორმაცია ინახება ჩვენს ე.წ. „რეპტილიის ტვინში“ ანუ იქ, სადაც საუბარია ცოცხალი არსების გადარჩენის მექანიზმებზე. მაშ, რატომ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იყოს კავშირი მრავალხმიანი მუსიკისა და ფიზიკური ანთროპოლოგიის სფეროებს შორის? ეს კავშირები, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სათუთაა, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვუარყოთ ამის შესაძლებლობა იმ მიზეზით, რომ მსგავსი იდეები არ შეესაბამება ჩვენს იდეოლოგიურ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

მეცნიერება არ უნდა გრძნობდეს თავს იდეოლოგიურ-პოლიტიკური შეხედულებების შეზღუდვებში. რა თქმა უნდა, მეცნიერება შეიძლება ცდებოდეს, მაგრამ ის თავისი ძიების პროცესში თავისუფალი უნდა იყოს.

ვფიქრობ, ეთნომუსიკოლოგიას დღეს კარგი შანსი აქვს, რომ ამ მხრივ ახალი პერსპექტივები დაუსახოს მთელი რიგი მეცნიერების დარგებს და აჩვენოს, რომ მეცნიერებაში მხოლოდ „მეცნიერული კორექტულობის“ პრინციპი შეიძლება და უნდა ბატონობდეს.